საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-941

30/09/2019

ქ. თბილისი

შპს „ენერგო ინვესტის“ მდ. ავანისხევზე დაგეგმილი „ავანი ჰესის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილ ცვლილებაზე (ჰესის სააგრეგატო შენობის ადგილმდებარეობის ცვლილება) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

2019 წლის 5 სექტემბერს სამინისტროს მომართა შპს „ენერგო ინვესტის“ უფლებამოსილმა წარმომადგენელმა და ითხოვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება.

2017 წელს სამინისტროს მიერ შპს „ენერგო ინვესტის“ ყვარლის მუნიციპალიტეტში, მდ. ავანისხევზე დაგეგმილი „ავანი ჰესის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილ ცვლილებაზე (ჰესის სააგრეგატო შენობის ადგილმდებარეობის ცვლილება) გაიცა №85 (15.11.2017) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, პირი, რომელზედაც 2018 წლის 1 იანვრამდე გზშ-ის სფეროში გაცემულია შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ვალდებულია 2021 წლის 1 იანვრამდე, განცხადების საფუძველზე მოითხოვოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა. სამინისტრო აღნიშნული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ამ კოდექსით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის განსაზღვრული პროცედურების გარეშე, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით მომზადდა მინისტრის ბრძანების პროექტი, რომლის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა 2017 წლის 15 ნოემბრის №85 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე და საქმიანობის განმახორციელებელს დაეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულება.

ამავდროულად ძალადაკარგულად ცხადდება „შპს „ენერგო ინვესტის“ ყვარლის მუნიციპალიტეტში მდ. ავანისხევზე დაგეგმილი ავანი ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილების (ჰესის სააგრეგატო შენობის ადგილმდებარეობის ცვლილება) მშენებლობაზე და ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2016 წლის 15 ნოემბრის No-758 ბრძანება, თუმცა აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით იურიდიულ ძალას ინარჩუნებს 2017 წლის №85 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც დანართის სახით თან დაერთვება მოცემულ გადაწყვეტილებას.

ზემოაღნიშნული გარემოებებისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „ენერგო ინვესტის“ მდ. ავანისხევზე დაგეგმილი „ავანი ჰესის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილ ცვლილებაზე (ჰესის სააგრეგატო შენობის ადგილმდებარეობის ცვლილება) გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე (დასკვნა №85; 15.11.2017);
2. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი ვალდებულია დაიცვას თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობები;
3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცეს განუსაზღვრელი ვადით;
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „ენერგო ინვესტის“ ყვარლის მუნიციპალიტეტში მდ. ავანისხევზე დაგეგმილი ავანი ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილების (ჰესის სააგრეგატო შენობის ადგილმდებარეობის ცვლილება) მშენებლობაზე და ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 15 ნოემბრის N0-758 ბრძანება;
5. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ენერგო ინვესტს“;
7. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ენერგო ინვესტის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
8. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი